

572  
988

100-3

ISSN 0132-3965

ՀԱՅԿԵՏՆԱԿ  
ՆՈՒՆԱԿԱՆԱԿ



138

1988 ՌՏԵՃՏԻՐԻ ՈՒՆ 1

ՀԱՅԿԵՏՆԱԿ

# ჩვენი ნაძვის ხე

## სიბერა პირიანული

ჩახუთ, როგორი მკვლეა  
ჩემი თოვინა ჰაერია.  
წითელი ქედი ახურავს,  
ცისფერი კაბა აცვია.  
ძაჯას ხაათი უმკვებებს,  
ძალიან უნდა დილობა,  
დროულად რომ მოვილოცოთ  
ბედნიერება, მშვიდობა.

## გივი პირიანაძე

მეც კილოცეთ ახალ წელს  
ლექანს, ბეჭებს თუ თვას.  
უფროთ როდი კაზანდენთ,  
შენე შეცნობთ ხეთურთიანს,  
ჰაქაინა ქალ-ვაჟებს  
რას კახურებთ?  
სულ ურიადს!

## ნაზი კილასონია

ეს ნაძვის ხე — მშვიდობის ხე  
მიგვუროლებს მშვიდობისკენ.  
მამ ახალ წელს, აურთავდილეს,  
ტაშით შევხედეთ მშველ ბავშვი!

## გივი ძვალაძე

წვივა, წვივა, წვივა, წვივა  
ქათხიულად ფიქქობა...  
ცვი, ცვი, ცვი, ცვი,  
წამქეზის თითები;  
დღემდ თუ არ გამოვიძვბეს,  
მეუსუენე მამაშენს,  
გამო, ბიჭო, ვიკუნდათო,  
ბა, შე და ბა, შენ!..

## იორაჟა ჯამბრბალიძე 18704

უსტვენს ჩიტი ჩიტუნა:  
— გუნდაობა ვის უნდა?  
თოვლი, თოვლი მოხუდა,  
დაფარულა შთა-ბბრი...  
— ჩიტო, მუნს ჰირს შქაერი!  
— ჩიტო, მუნს ჰირს შქაერი!  
უსტვენს ჩიტი დაბუა:  
— შიდას თოვლის ბბუა,  
მოაქვს კომში და ჩიბი,  
ხურსხულა და კავალი...  
— ჩიტო, მუნს ჰირს შქაერი!  
— ჩიტო, მუნს ჰირს შქაერი!

## მირიან ფოსხიაშვილი

რაც შეკვლია, შეკვლია,  
შეკვლია და შიდას...  
დღეს ახალი წელი,  
სეიმა დიდი.  
დაფიქსული წარბებით,  
დამრთვილული ქედით  
თოვლის ჰაზა მოვიდა  
თოვლი მოაქვს ქედით.  
ბა, ჩქარა, ბავშვებო,  
გავანბროთ ხელი,  
თორემ დავუვიწყლებ  
ეს ახალი წელი.

## გიორგი ვარაძე

სახალწლოდ  
კოსმოსიდან  
თაფლს, თხილს, ნიგოზს,  
რვას მოვხიდავ.  
თაფლით, თხილით,  
ნიგოზითა  
გავუკეთებ  
ტებილ ვოხინეს.





## ამანათი

### ელეუზა მერაბიშვილი

სკოლიდან წინ დაბრუნებულ დიშულას დედამ მხრიდან ჩინთა მოხსნა და ფოსტის ქვითარი გაუწოდა, ვილაყას საახალწლო ამანათი გამოუგზავნა შენთვისო.

ბიჭმა უნდოდ დახედა. ვის უნდა გამოგზავნა მისთვის საჩუქარი გორიდან?

— გამოგზავნის ვინაობას ფოსტაში შეიტყობ, გზავნილობის ბარათში ეწერება, — დააიძვრა ელემ.

დიშულა დაფიქრა. არდადაგებზე პიონერთა ბანაკში ყოფნისას ბევრი მეგობარი გაიჩინა, საიდან აღარ იყვნენ ჩამოსული გოგონები და ბიჭები, ზოგს ახლაც ვეძებოდა. მაგრამ გორელი არავინ გაახსენდა.

... ფოსტაში, ამანათების მისაღები სარკმლიდან ხნიერმა ქალმა ალერსით გამოხედა, ქვითარი გამოართვა და გზავნილობის ბარათი მიაწოდა შესავსებად.

ბიჭმა ბარათის ზედა კიდესთან მოკლე მინა-

წერს მოჰკრა თვალი და გულაჩქროლებდა: ნაიკითხა: „დიშულა, გილოცავ ახალ წელს. გიგზავნი ჩემი ბალის კეხურასა და ხეჭქეურს. კიდევ — ჩემს ქანდაკებას. რატომ და რისთვის, მიხვდები. გაცინებული სურათი უნდა გამოგზავნა, მაგრამ ფოტოს გადასაღებად ვერ მოვიცალაე. შენი ძველი ძმაკაცი, ზედღულელი მიხო.“

„ზედღულეთი თუ გორის რაიონის სოფელი იყო, არ ვიცოდით“, გაიფიქრა დიშულამ, ბარათი შეავსო, მოხუც ქალს ჩააბარა და ფირფიცის ნაწვრეტებიანი ყუთი მიიღო. ნაწვრეტებიდან ვაშლისა და მსხლის საამო სურნელი იფრქვეოდა, მაგრამ ბიჭს საამისოდ არ ეცალა; სულ სხვაგან იყო ფიქრით...

ერთხელ, ბანაკში ყოფნისას, დიშულა და ახალციხელი გოგონა თამილა მუსხი შემთხვევით ბახარში მოხვდნენ და მოხარული ჭყინტი ტაროები იყიდეს, თანაც ბლომად, რომ ბანაკში ამხანაგებისათვის მიეტანათ. ტაროები ბოლომდე არ იყო გაფცქვნილი, ქოჩონის ქვედა ფურცლები ზედ ჰქონდა შეტოვებული.

ბანაკში მისვლისთანავე ფანჩატურში შაშის მოთამაშე თავისიანებს მიაშურეს, ტაროებს ფურცლები შემოაფცქვენეს და ჩამოურიგეს. ერთი ტარო კიდევ დარჩა.

— ვაიძე, ერთი ქანალი გამოდგა! — დაიძახა თამილამ.

— მაგას ქანალი კი არა, დინკლა ჰქვია! — გამოსძახა ბოლნისელმა ყლარწმა ბიჭმა კოწიმი.

— ჰო, მაგრამ ვის ვარგუნოთ? — დიშულას იმწამსვე ზედღულელი მიხო გაახსენდა, ჩახსმული, ტანდაკუნთული და ლამაზად მოჭიდდავ; თანაც გამბედავი. წერეში რომ გავიდოდა საჭიდიოდა, სუ ყირა-ყირა ვადავლიოდა თავისი ტოლი თუ თავისზე დიდი ბიჭები. ბევრ ყოყონა ბიჭს მოუვალა თავი და ბევრიც გადაიმტერა. დიშულასაც ახსოვდა მისი გარეთა სარმა და ალბათ აჰან ათქმევინა:

— დინკლა ტარო დინკლა ბიჭს მიეცით!

ვევლას გაეცინა. ბურტყევუნა მიხოს ჭიანჭაში კბილები ერთიანად მოფხვნილი ჰქონდა, მოცვლას კი ავკიანებდა, ახალ კბილებს მხოლოდ აქა-იქ ამოეყოთ თავი.

თამილამ რვეულის ფურცელში შეახვია დინკლა ტარო, დიშულამ კი ფურცელს ზემოდან დააწერა: „დინკლა ტარო დინკლა ბიჭს. ფერი — ფერს, მადლი — ღმერთს“. ამ დროს მიხოც გამოჩნდა.

— რა ამბავია, საიდან გაჩნდა ასე უცებ ამ-

დენი მდრღნელი? — თქვა და გრძელ სკამზე ჩამოჯდა.

— შენ იკითხე თორემ, გვეღრღნება და ვდრღნით! — გამოსძახა კოწოში.

მიხომ რვეულის ფურცელში გახვეული ტაბლო აიღო, წარწერას დახედა და ვითომცა აქ არაფერიო, ტაროს ქაღალდი შემოაცალა.

— ღიჯლო, შე ძველო! — გამოსძახა კოწოში. მიხოს თითქოს არც ეს ძახილი გაუგონია და არც ბიჭების ქირქილი. მაღიანად შეექცეოდა ტაროს.

\* \* \*

შინდარუნებულმა დიშულამ ჩაქუჩი და გაზი მოიტანა ამანათის გასახსნელად.

— თითქოს დიდი ვინმე მყავდეს, ეს ჩასპანდი, საკუთარი თავის ძველსაც რომ მიგზავნის, — ჩაილაპარაკა.

თავსახური ჭრიალით აძვრა ყუთს, მაგრამ დიდრონი წითელი ვაშლებისა და სურნელოვანი წორწორინა მსხლეებისათვის ყურადღება არ მიუქცევია დიშულას, არც ბადაგით თეთრად გადაფიფქული ჩურჩხელებისაკენ წასვლია თვალში, უწინ ტკიცინა თეთრ ქაღალდში გახვეულ მრგვალ სავანს დასწვდა, ფრთხილად დაღო მაგიდაზე, ქაღალდი შემოაცალა და სახტად დარჩა: დიდზე დიდი ლოყებდაბრაწული ვაშლი შერჩა ხელში. ოღონდ საგულისხმო იყო, რომ

ეს ვაშლი თვითონ მიხოს ჰგავდა, გრძელად ჰქონდა შეტოვებული და მუქმწვანე ფოთოლი ქონორივით ამშვენებდა, ატკრეკილ ლოყებს შუა კი ამძივებული კბილების ჩანაჭდევები ეტყობოდა — ვიდაცას კბილები ჩაესო, მაგრამ აღარ მოეკბინა.

პირწავარდნილი გადიმებული მიხო იყო. — შენ უყურე, რა მოუფიქრებია, — თქვა გულში, — მიმახვედრა, რომ ღიჯლა აღარ არის. მე რომ ვარგი ბიჭი ვიყო, ამ ამბავს ყველას შევატყობინებდი, ვინც ჩვენთან იყო ბანაკში.

— დედიკო, — წამოიძახა დიშულამ, — მოდი, საახალწლო ნაძვის ხეზე მოვიპატიჟებ ბანაკის ამხანაგებს.

... ხედ ახალი წლის დილით მიხომ გახეთვებთან ერთად დევეშა მიიღო თბილისიდან. ქართულად იკითხებოდა რუსული ტექსტი: „გლოცავტ ახალ ცელს და კოპცია კბილებს, რომლებიც ალბატ გოზინაკის ჩასაკნატუნებლად ამოგივიდა. გეპატიეებიტ საახალცლო ნაძვის ხესტან. ოტხში დილით ტერტმეტზე დაგხვედებიტ ავტოსადგურზე დიშულა, ნესტანი, მანანა, ღანა, ჩიჩიკო“.

გახარებულმა ბიჭმა ახლობლებს სათითაოდ წაახოთხა დევეშა, მერე სარკესთან მივიდა და ახლად ამოსული კრიალა კბილები შეითვალიერა.





## ნაძვის ხე

### თარიღილ ჭანტუაია

უცნაური რამ ხდება:  
 წელს ნაძვის ხეს დათვი რთავს!  
 ნაძვის შწვანე ტოტები  
 სულ ფიჭებით დატვირთა!  
 რაც არ უუვარს დათუხას,  
 იმას ტოტზე არ კიდებს!  
 რაც არ უუვარს ბაჯბაჯას,  
 იმას ხელსაც არ ჰკიდებს!  
 ნათურებსაც არ ანთებს  
 გლუხის თხის მოძმარავი:  
 ეძინია, თხის ქურდი  
 არ შენიშნოს არაფერი!  
 ჯერჯერობით ტოტებზე  
 არც იხვი და ბატი ჩანს!  
 მაგიერში დათუხამ  
 ძელა დაგვიპატივა.  
 — ლომი? ლომის ადგილი  
 ჯუნგლებშია, აქ არა! —  
 არც ლომი და რაც ვუფხვი  
 ტოტებს არ ვაკარა!  
 მაგიერში ტოტები  
 სულ ფიჭებით დატვირთა!  
 სასაცილო რამ ხდება:  
 წელს ნაძვის ხეს დათვი რთავს!



## მეკვლე ბაბუა

ნინო ლონდარიძე

ახალ წელს, ეოველ ცისკარზე,  
რომ იეივლებდა მამალი,  
თავსასთუმალთან მხვდებოდა  
მე სანუქარი მრავალი.

— მეკვლე ბაბუა გეწვია  
და მან მოგართვა დამითო! —  
მეტეოდნენ დედა, ბებიას,  
მიდნსტურებდა მაშიკიც.  
ვნატრობდი: ვიცდი, ამშვეენებს  
ბაბუს გრძელი წვერები,  
ნეტავი ახლო მანასა,  
დავკოცნი, მივეფერები...  
წუხელ დამე კი ძილისთვის  
ეველამ თვალი რომ დანუჭა,  
მე დაჭყეტილი ველოდი,  
ვით სათამაშო დათუჩა...  
და ის-ის იყო ამევესო  
ბავშვს მოთმინების ფიალა,  
როცა საძილე ოთახის  
კარებმაც გაიჭრიალა...  
და მეკვლე ბაბუს მაგივრად,  
არა, არ მომხვენებია,  
თავზე დამადგა დიმილით  
ჩემი კეთილი ბებიას.

მხატვარი ნანა ჭურღულია





# სახალწლო ზეიმი

## შალვა ზივარული

ახლანდელ ბალდაუჭობას იქნებ არც მოგე-  
წონოთ, მაგრამ მე მიინც გიამბობთ, როგორ სა-  
ახალწლო დღესასწაულებს გვიმართავდა წერა-  
კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკო-  
ლა.

დიდი ილიას მადლით დაარსებულ თელა-  
ვის სამწლიანი სკოლის პირველი კლასის მო-  
წაფე ვიყავი. ჩვენმა მასწავლებელმა 24 დეკემ-  
ბერს გამოგვიცხადა:

— ხვალდან ორი კვირის დასვენება გაქვთ.  
არდადეგებია. 31 დეკემბერს კი 5 საათზე, სკო-  
ლაში მიინც მოხვალთ. საშობაო ნაძვის ხესთან  
სახალწლო ზეიმს დაესწრებით. მშობლებს კი  
მოახსენეთ, შეიდ საათზე მობრძანდნენ თქვენს  
წასაყვანადო.

მთელი კვირა ვოცნებობდი სკოლის ზეიმზე.  
ახალი წლის წინადღევ დადგა. მამა არა მყავ-  
და. დედამ: ვერ გავიშვებ, არ მცალია, საკერა-  
ვი უნდა დავამთავრო და პატრონის ათ საათამ-  
დე მიინც უნდა ჩავბაროო. ეს გაიგონა ჩემი  
უფროსი დის ნათლია გიორგიმ და ჩემთვის ცის  
გახსნასავით ბრძანა:

— მე მივიყვან და მგვე წამოვიყვან ამ მარგა-  
ლიტ ბიჭსა!

ბავშვები დარბაზის წინა ოთახში დაგვამ-  
წკრივეს. მალე დიდი კარის ორივე მხარე უცებ  
ერთად გაიღო და დავინახე იატაკიდან ჭერამ-

დე აღმართული სასწაული — უმწვენიერესი  
ხასხასა ნაძვი. პატარძალივით იყო შექმულ-  
მოკაზმული კაშკაშა მოსართავებით. მის ირ-  
გვლივ პირველ წრედ ჩვენ შემოგვარტყეს, მეო-  
რე წრედ — მეორეკლასელები და მათ უკან —  
მესამეკლასელები. ყველას ნაირფერი დარი-  
ბული, მაგრამ ჩვენი სულივით სპეტაკი სამო-  
სი ვევიცვა. აღტაცებით სახეგაბრწყინებულები  
ფეხადგმულ ყვავილებს ვვავდით. პირველად  
გავვიჭირდა სიმღერით ნაძვის ირგვლივ  
სრბოლა. მერე კი შევეჩვიეთ და კარუსელივით  
დავტრიალდით. პირველი შესვენებისას ერთ-  
მანეთში ავირდავირეთ. ხუთიოდე წუთის შემ-  
დეგ დარბაზის მარცხენა კედლის კარი მოუ-  
დინდელად გაიღო. შემობრძანდა ქართული  
გულისპირიანი კაბით შემოსილი და ჩიხტა-  
ლენაქით თავდახურული დარბაისელი ქალი.  
ორივე ხელით ეჭირა ოქროსავით მოზინავი  
თითბრის დიდი ლანგარი და ზედ ეწყო რომ-  
ბებად დაჭრილი გოზინაყები. დიდელსებური  
აღერსით მოგვილოცა მომავალი — 1917 წელი  
და ყველას ჩვენ-ჩვენი ხელით ავგაღებინა თი-  
თო ნაჭერი გოზინაყი, მერე კი, პირი ჩავიტკბა-  
რუნეთ თუ არა, ნესტიან ფართო ტილოზე შეგ-  
ვაწმენდინა ხელი.

ამის მომდევნოდ დაიწყო მთავარი გართობა:  
თითოეული კლასიდან რამდენიმეს ზეპირად

გვათქმევინეს „დედა ენიდან“, „ბუნების კარი-  
დან“, „ნაკადულიდან“ და „ჯეჯილიდან“ შერ-  
წყული თითო ლექსი.

ლექსობას მოჰყვა ცეკვა. ჯერ სამი წველი  
გოგო-ბიჭი ათამაშეს. შემდეგ ფერხულის მაგ-  
ვარი გაიმართა.

ბოლოს მელიისა და ბაჭის ნიღბიანმა ბავ-  
შეებმა მტრობის, შერიგებისა და მეგობრობის  
არაკი გაითამაშეს... გვაცინეს, ბევრი გვახახა-  
ნეს, გვაკისკისეს... და ნიღბები რომ მოიხსნეს,  
ყველამ ვიცანით, სკოლის გამგის შვიდი-ცხრა  
წლის გოგონები რომ იყვნენ. მაგარი ტაში ავ-  
ტეხეთ. რომ აღარ ვწერდებოდით, მათმა დედამ  
ბრძანა:

— ემარა, ბავშვებო, ხელებს ნუ დაიმტვ-  
რევთ, თორემ საჩუქრებს რითღა წაიდებთო?

საჩუქრების გაგონებაზე ყველა უცებ გავი-  
ნაბეთ. სრულ სიჩუმეში გაიღო ისევ ის კარი,  
საიდანაც ადრე დიდელა გამობრძანდა გოზინა-  
ყით სავსე ლანგრით. დიად, გაიღო კარი და შე-  
მობრძანდა მაღალი, თეთრ წვერ-ულვაშიანი  
თეთრჩოხიანი, თეთრად მზინავ ხანჯლიანი  
პაპა და გაისმა მისი ბუხუნო:

— შემოვლდი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი!..  
ფეხი ჩემი, კვალი — სიკეთის ანგელოზისა! გი-  
ლოცავთ ახალ წელს, დაიზარდენით კარგ მა-  
მულიშვილებად!

მის კვალდაკვალ შემოსულმა ორმა დიდმა  
ბიჭმა შემოიტანა ნავისებური მოგრძო დიდი  
კალათა, პატარა პარკებით პირთამდე სავსე. პა-  
პას წინ თანმიმდევრულად ჩავატარეს პირველი,  
მეორე და მესამე კლასელები. ის მარცხენა  
ხელს აღერსით თავზე გვისვამდა, მარჯვნივ  
კი თითო პარკს გვირიგებდა. პარკში თითო ვაშ-  
ლი, მსხალი, ხინკლისებური პაწია ქადა, ნახე-  
ვარ-ნახევარი თეთრად დამაქრული ჩურჩხელა  
და ათიოდე ნაირნაირი გამყვები ეწყო...

ასევე მწყობრად დამწვრივებულები მიგვაყე-  
ნეს ბოლოს ისევ ნაძვის ხესთან და დაიწყო  
ყველაფერზე უფრო სასიხარულო ამბავი — მო-  
სართავების ჩამოსხნა, ჩვენს თვალწინ მოწი-  
თალო პარკებში ჩალაგება და სახლში გატანე-  
ბა. მე შემახვედრეს: წითლად და ოქროსფერად  
მბრწყინავი მინის საკენწერო, ყავისფერი დათ-  
ვის ბელი, თეთრი ანგელოზი, მწვანეფოჩიანი  
სტაფილო, მინის ყურძნის მტკვანი და სამი  
სხვადასხვა ფერის ბუშტი.

... და აი ნორჩობაში განცდილი სიამე ღრმა  
სიბერემდე მომყვა.



მხატვარი მანანა მორჩილაძე



# 1988



	ნიანვარი	თეგეკველი	პირტი
ორშაბათი.	4 11 18 25	1 8 15 22 29	7 14 21 28
სამშაბათი.	5 12 19 26	2 9 16 23	1 8 15 22 29
ოთხშაბათი.	6 13 20 27	3 10 17 24	2 9 16 23 30
ხუთშაბათი.	7 14 21 28	4 11 18 25	3 10 17 24 31
პარასკევი.	1 8 15 22 29	5 12 19 26	4 11 18 25
შაბათი.	2 9 16 23 30	6 13 20 27	5 12 19 26
კვირა.	3 10 17 24 31	7 14 21 28	6 13 20 27
	პირტი	პირტი	პირტი
ორშაბათი.	4 11 18 25	2 9 16 23 30	6 13 20 27
სამშაბათი.	5 12 19 26	3 10 17 24 31	7 14 21 28
ოთხშაბათი.	6 13 20 27	4 11 18 25	1 8 15 22 29
ხუთშაბათი.	7 14 21 28	5 12 19 26	2 9 16 23 30
პარასკევი.	1 8 15 22 29	6 13 20 27	3 10 17 24
შაბათი.	2 9 16 23 30	7 14 21 28	4 11 18 25
კვირა.	3 10 17 24	1 8 15 22 29	5 12 19 26
	პირტი	პირტი	პირტი
ორშაბათი.	4 11 18 25	1 8 15 22 29	5 12 19 26
სამშაბათი.	5 12 19 26	2 9 16 23 30	6 13 20 27
ოთხშაბათი.	6 13 20 27	3 10 17 24 31	7 14 21 28
ხუთშაბათი.	7 14 21 28	4 11 18 25	1 8 15 22 29
პარასკევი.	1 8 15 22 29	5 12 19 26	2 9 16 23 30
შაბათი.	2 9 16 23 30	6 13 20 27	3 10 17 24
კვირა.	3 10 17 24 31	7 14 21 28	4 11 18 25
	პირტი	პირტი	პირტი
ორშაბათი.	4 11 18 25	1 8 15 22 29	5 12 19 26
სამშაბათი.	5 12 19 26	2 9 16 23 30	6 13 20 27
ოთხშაბათი.	6 13 20 27	3 10 17 24 31	7 14 21 28
ხუთშაბათი.	7 14 21 28	4 11 18 25	1 8 15 22 29
პარასკევი.	1 8 15 22 29	5 12 19 26	2 9 16 23 30
შაბათი.	2 9 16 23 30	6 13 20 27	3 10 17 24
კვირა.	3 10 17 24 31	7 14 21 28	4 11 18 25
	პირტი	პირტი	პირტი
ორშაბათი.	4 11 18 25	1 8 15 22 29	5 12 19 26
სამშაბათი.	5 12 19 26	2 9 16 23 30	6 13 20 27
ოთხშაბათი.	6 13 20 27	3 10 17 24 31	7 14 21 28
ხუთშაბათი.	7 14 21 28	4 11 18 25	1 8 15 22 29
პარასკევი.	1 8 15 22 29	5 12 19 26	2 9 16 23 30
შაბათი.	2 9 16 23 30	6 13 20 27	3 10 17 24
კვირა.	3 10 17 24 31	7 14 21 28	4 11 18 25



# უეღური ტურა

ჭაბუა ამირაჯიბი

მატყვარი ელვარდ ამბოკაძე

ტურა ტყე-ტყე მიტუსტუსებდა. ფეხი ვერაგულად დაგებულ ხაფანგში მოჰყვა. რა თქმა უნდა, რომ სასარელი ვაი და ვიში მორთო.

ამ ალიაქოთხე დათვი მობაჯბაჯდა. იმედგადაწყვეტილი ტურა შეეშუდარა:

— არიქა, ბატონო დათვო, გადამარჩინე, მაღლი მოისხი!

— შემიძლია და რატომაც არ უნდა გადავარჩინო! — მიუგო დათვმა და ხაფანგს ტორები დაუშინა.

ხაფანგის მტვრევასა და ლაწალუწუში ერთი უცაბედი ტორი ტურასაც მოხვდა.

ტურამ გაიფიქრა, ოღონდ ამ განსაცდელს როგორმე წაუვიდე და, ჯანდაბას, თუნდ ხუთი ამღენი მოხვდესო.

დათვმა ხაფანგი ნაფოტებად აქცია, ტურა დაღუპვას გადაარჩინა.

დაზარალებულმა სულელი მოითქვა, ნატკენი თათი აიკეცა და წაკინკილდა. მიდიოდა და ფიქრობდა, ხაფანგი იქით იყოს, და როგორი მთხლიშა იმ მოუხეშავმა, იმანათ!

დათვმა ტურა რომ სიკვდილს გადაარჩინა, ეს ამბავი ქვეყანას მოედო. ყველა დათვის კბი კაცობას ამბობდა. თვითონ ტურამაც არავინ დატოვა, თავისი განსაცდელი და დათვის ვაჟკაცობა არ ეამბნა, აქათ და ყველამ იცოლეთ,

როგორი მფარველი მყავსო!

ცოტა ხანი გავიდა. ტურას ქმარი ავად გაუხდა. ჭოტი მოიყვანა, ავადმყოფი გამისინჯეო. ჭოტმა ლოგინად ჩავარდნილი გასინჯა და თაფლით მკურნალობა დაუნიშნა.

ტურა საფონებელში ჩავარდა, თაფლი საღდა ვიშოვო.

იფიქრა, იფიქრა — დათვი მოაგონდა. თუ ექნება, იმას ექნება, სხვასთან არავისთან მეგულებათ. მივიდა და ბუნჯაის კარზე მიაკაკუნა.

დათვმა გამოსძახა, სტუმარი ღვთისაა, თუ სასიკეთოდ მოსულხარ, შემობრძანდი, ვინცა ხარო!

ტურა შევიდა. დათვი ცხვირიპირახვეული დაუხვდა. ბუნჯაში მალამოს სუნი იდგა. სტუმარს ენიშნა: ამას ფუტკარი ჰყავს დარბეული, თაფლი ბლომად ექნებაო. ჯერ ჯანმრთელობა მოუკითხა. მერე თანაგრძნობა გამოუცხადა. ფუტკრებს ზარალი და არგახარება უსურვებ, მასპინძელს ნუგეში სცა, ტკივილები სულ მალე დაგიცხრებაო. ბოლოს მოსვლის მიზეზიც გაუშხილა.

— თაფლს ამ დღეებში უსათუოდ ვიშოვნი და გადმოგიბრუნებინებო, — დაასრულა ტურამ დათვის სათხოვარი.

დათვმა უთხრა:







— შინ მწოლიარე ავადმყოფი გყოლია, შე-  
მიძლია და რატომაც არ უნდა დაგეხმარო! —  
საკუჭნაოში შევიდა, კარგა მოხრდილი ფიჭვა  
გამოუტანა, სესხად კი არ მისცა, ავადმყოფთან  
ძღვნად გაატანა.

ტურამ მადლობა გადაუხადა, ფიჭვას პირი  
დააუღო, შინისაკენ წაძუნძულდა. მიდიოდა და  
ფიქრობდა, იმდენი თაფლის პატრონმა იმ ერ-  
თი ფიჭვის მეტი ვერ გამოიმეტა!

დათვმა ტურას რომ ქმარი გადაურჩინა, ეს  
ამბავი ქვეყანას მოეღო. ყველა დათვის კაცობა  
სიკეთეს ამბობდა. თვითონ ტურამაც არავინ და-  
ტროვა, თავისი გასაჭირი და დათვის დახმარე-  
ბა არ ეამბნა, აქაო და, ყველამ იცოდეთ, როგო-  
რი მძაკაცი მყავსო!

კიდევ ცოტა ხანმა გაიარა. ტურა ამბავს წა-  
აწვდა: მგლებს ნანადირევი ეღოთ, ისხდნენ და  
ჭამდნენ. ბევრი უტრიალა, იქნებ რამე დავ-  
ტყუთო, არაფერი გამოუვიდა, სათოფეუხე არავინ  
მიიკარა. ტურა გამწარდა, მგლებს დაემუქრა,  
ისეთი ვინმე მოვიყვანო, სულ კუდამოქუებულნი  
მიძუნძულებდეთო.

მივიდა ტურა დათვთან, ბუნაგიდან გამო-  
იხმო, მგლებს უჩივლა, დამწაგრესო. — წამომ-  
ყვი, თუ კაცი ხარ, იმ ღორმუცელებს თავ-ფე-  
ხი მაინც მოაგეშინე. შემოდგომაზე პანტას მო-  
ვიგროვებ და თაბახით მოგართმევ.

დათვმა მიუგო:  
— ნანადირევის წართმევა სადაური სამარ-  
თალია. ესეც არ იყოს, შინ სტუმრები მყავს,  
დღეს ვერსად წამოგყვები.

ტურას გული მოუვიდა, მაგრამ პირში უკულ-  
მართი ვერაფერი შეტედა და იქაურობას გაე-  
ცალა.

მიდიოდა და ფიქრობდა, რიგიანი დათვი  
მგეონა, როგორი გაუტანელი და თავკერძა ყო-  
ფილაო.

გზად ვინც შემოეყარა, ყველასთან დათვის  
აუცი ილაპარაკა. ვინც მოუსმინა, ყველამ ტურ-  
რა გაამტყუნა, ამდენი სიკეთე გიყო და ამბავი  
წყალში უნდა გადაუყარო?! მადლის ყადრი  
არა გცოდნია, უმადური და ბრიყვი ყოფილხა-  
რო!

ზოგმა მსჯავრიც დასდო. მგელმა ტურას  
კული შიგ პირში წააკვინტა. მელამ ქურქი შე-  
მოაფლითა. ვირმა ყბებში ტყუბი წიხლი ამოპ-  
კრა და კივილი დააწყებინა. როგორი მართა-  
ლიც იყო, ქვეყანაზე დღესაც იმ სიმართლით  
დადის: დღისით სოროშია, დამდამობით ჯა-  
გებში დაძრწის, სხვის გადაყრის მიერთმევს.  
აღარც კული აქვს, აღარც რიგიანი ქურქი აც-  
ვია და ერთთავდ თავის უმადურობას მიჰკი-  
ვის.









# სანდრო ზრდილობას სწავლობს

მისივე ქვლივიძე

მხატვარი ლალი ლომთაძე

სანდრო უკვე პირველ კლასშია. სკოლაში ბევრი რამ ახალი გაიგო, ასობის ლამაზად წერა ისწავლა, მიმატება, გამოკლება. მასწავლებელი კმაყოფილია, მაგრამ ზოგჯერ იტყვის: „ცოტა ზრდილობა აკლია ბავშვს, სალამი აგვიანდება, მადლობის თქმასაც ივიწყებდნო...“

ერთ დღეს სკოლიდან მომავალი სანდრო ქუჩაში უცნობმა მოხუცმა ქალმა გააჩერა:

— შვილო, თვალთ მაკლია... ერთი გაიხედე, შენს გაზრდას, მანქანა ხომ არ მოდის, და იქითა მხარეს გადამიყვანე!

სანდროს ესიამოვნა მოხუცის თხოვნა. „ახლაც იტყვიან, უზრდელი ვარო?“, გაიფიქრა და ხელი მოჰკიდა დედაბერს. მერე, როგორც სკოლაში ასწავლეს, ჯერ მარცხნივ გაიხედა, მერე მარჯვნივ, და როცა დარწმუნდა, ქუჩა ცარიელი იყო, გადაიყვანა ქალი.

მოხუცმა მადლობა გადაუხადა და გზა გაწავრო.

სახლში სანდრომ დედას უამბო ყველაფერი.

— ყოჩად, ყოველთვის ასე მოიქეცი და ჯილდო ჩემზე იყოს. — უთხრა დედამ და ბიჭს იმ დღეს ნაყინი უყიდა.

მეორე დღეს სანდრო და ოთარი ერთად ბრუ-



ნდებოდნენ სკოლიდას. ქუჩის კუთხეში სანდრომ ნაყინის გამყიდველს მოჰკრა თვალი.

— გუშინ დედამ ნაყინი მიყიდა. პლომბირი. — ამაყად თქვა სანდრომ.

— პლომბირი მეც მიჭამია. — უპასუხა ოთარმა.

— ის სხვა... მე დამაჩილდოვეს! ერთ ბებიას დავესმარე: ქუჩის მეორე მხარეს გადავიყვანე. — და სანდრომ ოთარს გუშინდელი ამბავი უამბო.

— მოდი, დღესაც ვინმე გადავიყვანოთ. — გაუბრწყინდა თვალები ოთარს. — დედას ვეცვი და მეც ნაყინს მიყიდის!

ბიჭები გაჩერდნენ და ტროტუარზე მიმავალ ხალხს დაუწყეს თვალღებება, აბა, ქუჩის მოპირდაპირე მხარეზე გადასვლას ვინ მოისურვებდნო, მაგრამ მათ ჯიბრზე ახლომახლო ასეთი არაფერი ჩანდა. ბოლოს, შუახნის ქალი დაინახეს: მალაზიიდან გამოსული, ჩანთით ხელში, ქუჩის პირას იდგა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

სანდრო და ოთარი უმალ მასთან გაჩნდნენ.

— გადასვლა გნებავთ, დეილა?

ქალმა გაკვირვებით მოიხედა:





— მერე თქვენ რა შუაში ხართ?  
სანდრო სახელოში ჩააფრინდა ქალს:  
— ჩვენ დაგეხმარებით!  
— რა დახმარება მინდა? — გული მოუვიდა  
ქალს.

— კი, კი, დეიდა... წამობრძანდით. — მეორე მხრიდან მოუარა ოთარმა და იმანაც მკლავში გაუყარა ხელი.

გაკვირვებული ქალი თავის განთავისუფლებას ცდილობდა, მაგრამ ბიჭები არ მოეშვენენ, სანამ ხელგაკავებული მოპირდაპირე ტროტურზე არ გადაიყვანეს...

გავიდა ხანი და სკოლიდან დაბრუნებულმა სანდრომ დედას განუცხადა:

— დღეს ოთარმა, ნუგზარმა, ირაკლიმ, კოტემ, შოთამ და მე ერთი მოხუცი კაცი ქუჩაში გადავიყვანეთ!

დედამ იკვნეულად შეათვალიერა შვილი:  
— კი, მაგრამ... ისეთი რა გაუჭირდა, რომ ამდენი ბავშვის დახმარება დასჭირდა?

სანდრომ წაუყრუა, ვითომ ვერ გაიგონა დედის ნათქვამი, და ნაყინი შეახსენა.

— არ მცალია შენთვის, — უთხრა დედამ, — ჭერ ისადილე. მაცივრის შესაკეთებლად ხელო-



18-201



სანი უნდა მოვიდეს, იმას ველოდები. ნეტა რად დაიგვიანა?

ამ დროს დერეფანში ზარმა დაიწკრილა.  
— ალბათ ხელოსანია. — თქვა დედამ და გავიდა, სანდრო კი გაწუბილ სუფრას მიუჯდა და ის იყო ლუკმა პირისაკენ წაიღო, რომ დერეფნიდან ლაპარაკი შემოესმა.

— მაპატიეთ, ქალბატონო... — ბოხი ხმით ეუბნებოდა დედას ხელოსანი, რომლის ხმა სანდროს ძალზე ნაცნობი ეჩვენა. — ცოტა შემაგვიანდა, მაგრამ ჩემი ბრალი არ არი... ვიცი ბავშვები დამესიენ ქუჩაში, გინდა თუ არა, იქითა მხარეზე უნდა გადავიყვანოთ. რამდენი ვარწმუნე, არ მინდა, აგერ მივიღვივარ, ამ სახლში-მეთქი... გაგიგონია! აღარ მომცილდნენ! გავუჭავრდი კიდევ, მაგრამ რას გავხდებოდი იმდენ გადარეულთან! დამტაცეს ხელი და შუა ქუჩაში მარბენინეს! — ხელოსანი დედავდა და სიბრაზისაგან სულს ძლივს ითქვამდა. — მოსწავლეები კი იყვნენ! აი, შევარცხვინე მათი ზრდილობა!

როცა კარი გაიღო და ოთახში, დედის თანხლებით, მოხუცი ხელოსანი შემოვიდა, სანდრო იქ აღარ დახვედრიათ, ჩუმად გაპარულიყო.



## მეფე - ვეზირობანს

ნოდარ ივანიძე

ეს მესხეთში გავრცელებული ძველებური თამაშია. გათვალისწინებულია ცისქვეშ, ზაფხულობით სათამაშოდ, მაგრამ შეიძლება ზამთარშიც ითამაშოთ — გარეთაც, და სპორტულ დარბაზებშიც, ან ახალ სახლებში მოწყობილ სათამაშო მოედნებზე.

თამაშობს ოთხი ბავშვი. ამოითხრება 15—

20 სანტიმეტრი დიამეტრის მქონე ორმო ან მონიშნება ამავე ზომის წრე — შეიძლება დაიდგას მუყაოს მრგვალი, მომალლო კედებიანი კოლოფი (ნამცხვისა) ანდა წრე შემოსაზღვროს ორი სამაგრიტო შეკრული მუყაოს ზოლით.

თითოეული მოთამაშე იღებს ოთხ-ოთხ მრგვალ კენჭს, მერე ორმოს (წრეს) დათქმულ მანძილზე დაშორდებიან და ოთხივენი (რიგრიგობით) ყველა კენჭს ერთდროულად ისვრიან ორმოში (წრეში). ვინც ოთხივე კენჭს ჩააგდებს, ის მეფედ ითვლება, ვინც სამს, ის — ვეზირად, ვინც ორს, — ცხენად და ვინც მარტო ერთს ან ვერც ერთს, ის — ვირაა.

მეფე შეგდება ცხენზე, ვეზირი — ვირზე, და ისინი წინასწარ დათქმულ მანძილზე გაატარებენ „მხედრებს“ (შეიძლება კენჭების ნასროლი ადგილიდან ორმოს გარშემო ხუთი-ექვსი წრე გააკეთონ).

შეიძლება შეთანხმდეთ სხვაგვარ „სასჯელზეც“. თუ სპორტულ დარბაზში ხართ, ამხედრებული მეფე და ვეზირი შვედურ კედელზე „ააჭენებენ“ თავიანთ ცხენსა და ვირს; ანდა მოიფიქრეთ სხვა რამ — თქვენი სურვილისამებრ.



## იქნ სქილა

ოინი

ზურაბ ვალაჭორია

მაყურებლებს ჭერ ვუჩვენებთ მისალოცი ბარათის წინა მხარეს, შემდეგ ზურგის მხარესაც, რომელზეც მისალოცი სიტყვებია დაწერილი.

ამის შემდგომ მისალოცი ბარათს კიდით ვღებთ მაგიდაზე და მაყურებლის გახაოცრად იგი კი არ წაიქცევა, არამედ ურყევად დგას.

ახლა ჭიქას ან ფინჯანს ავიღებთ და ზევიდან დავადგამთ ბარათის კიდეს. და კვლავ ოინი... ჭიქა გაუწმრევლად ჩერდება ბარათის კიდეზე.



# ჭიქა

სამართიველის ალკკ ცკ-ისა  
და პ. ო. ლეონის სახელობის  
პიონერთა ორგანიზაციის  
რესპუბლიკური საბჭოს შუ-  
ნაღი უმცროსკლასელთა-  
ვის.

გამოდი 1904 წლიდან  
საქ. კვ-ის გამოცემულია.

შთავრი რედაქტორი  
**მევერი ნიშარაძე**

სარედაქციო კლკვია: მუშარდ აბო-  
კაძე, მანანა ანისძე, ლეონა გავრა,  
მერი ღვთისმშობი, სოლომე დე-  
მურხანაშვილი, ლეონა შარა, გულა  
ლესხანაძე, მარია მრეველი-  
ლი, ჯურხა ნაღობაძე, გიორგი გო-  
ნობილი (სამხატვრო რედაქტორი), მი-  
ნია ნაღობაძე (პ/მე. მდივანი), გიორგი  
მანანაძე, გიორგი გავრაძე, მარია ნაღ-  
ობილი.

ტექნიკური რედაქტორი  
**მელი შარაძე**

მისამართი: რედაქციის, გამოცემულის,  
სტამბის—ბილისი, დენისი 14. ტელ:  
მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15;  
პ/მე. მდივნის 93-10-32, 93-98-18; საბ.  
რედაქტორის—93-98-18; განყოფილებუ-  
ბის 93-98-19.

გადაცვა ხანუბად 14.09.87 წ., ხელმო-  
წერილი დასაბუჭდად 9.11.87 წ. ქალაქ-  
დის ზომა 60x90<sup>1</sup>/<sub>8</sub>, ფიხ. ნაბ. ფურც-  
2,5 ტირაჟი 168.000, შკვკვთა №2186



ვლახ ნახატი  
**გემო ხიჯაშვილი**

«Дила» («Утро») ежемесичный жур-  
нал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского  
Республиканского Совета Всесоюзной  
пионерской организации им В. И.  
Ленина для младшеклассников, на гру-  
зинском языке.  
Отпечатано в типографии издатель-  
ства ЦК КП Грузии.  
Главный редактор Энвер Нишарадзе  
(тел. 93-41-30).  
Адрес редакции и издательства:  
380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14.  
Объем 2,5 печатных листа, тираж  
168.000. Заказ №2186



## ლიონს ახსნა

ერთ მისალოც ბარათს ზურგის მხრიდან სანახევროდ  
ვაწებებთ ისეთსავე ბარათს (როგორც ნახატზეა ნაჩე-  
ნები). ჩვენების დროს ორთავე ბარათს კიდებში ვუ-  
ჭერთ თითებს და მაყურებელი ვერ ამჩნევს, რომ ჩვენ ორი  
ერთიმეორეზე მიტყუებული ბარათი გვიჭირავს ხელში.  
ბარათის მაგიდაზე დადგმის დროს, შიგნითა, მაყურებ-  
ლისათვის ფარულ და თავისუფალ მხარეს ვხსნით და  
ბარათი მაგიდაზე ურყევად ჩერდება (დააკვირდით ნა-  
ხატს!), ქიქა ან ფინჯანი კი სულ იოლად დადგება ასეთ  
საყრდენზე.





# საახალწლო



ნანახები ელ. მეგობარისა

877/19



გილოცავთ ახალ,  
1988 წელს!




ყოჩაღ, ღღას შან  
ზირვედი მოხველი

წელს ყველაფერში  
ვირვედი ვიქნები.



-ოჲროს თივზო, მოახლინა სანა-  
ში, მიშვედე, მრეზი მოგაშოხა  
-მიშვედი, თუ ქართულ, ჩუსულ, ისმორიას და სხვა სანახას ისწავლი.



ახიბყორე



აახი შვილი  
ღელს ბუდილს ვაქრო

- 5
- 5
- 5
- 5
- 5
- 5
- 5

ქართული  
ჩუსული  
ნსმორი  
უსმორე